რას გვპირდებიან პოლიტიკოსები?

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების კამპანიის შესაბამისობა გურიის მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებთან

გურიის სამოქალაქო ცენტრი
ოზურგეთი 2020

პროექტის განხორციელება და ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ფინანსური მხარდაჭერით.

აღნიშნული გამოცემის პასუხისმგებელია ავტორი და გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი----------3

პროექტი „ვითხოვთ პასუხს“ ----------3

მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები – 2020 წელი ----------4

ათი კითხვა მაჟორიტარი დეპუტატობის
კანდიდატებს და მათი პასუხები----------8

პოლიტიკური დებატები 2020 - მაჟორიტარი
დეპუტატობის კანდიდატებს შორის----------12

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების
აგიტაცია 2020 - როგორ პასუხობენ
კანდიდატები საზოგადოების საჭიროებებს----------13

ძირითადი მიგნებები და დასკვნები----------14

შესავალი

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნებია საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების გზაზე. არჩევნები საქართველოში პირველად ჩატარდა შედარებით დემოკრატიული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. აღნიშნული ცვლილებების მიღწევა შესაძლებელი გახდა საერთაშორისო პარტნიორების მნიშვნელოვანი ჩართულობით, მათ შორის განსაკუთრებულად აღსანიშნავია და მადლიერებას იმსახურებს ამერიკის შეერთებული შტატების როლი. პროექტის განმახორციელებელი გუნდი განსაკუთრებით მადლიერია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიმართ, რომლის მხარდაჭერითაც შესაძლებელი გახდა განხორციელება პროექტისა „ვითხოვთ პასუხს“, რათა გურიის რეგიონში წინასაარჩევნო პროცესი ყოფილიყო უფრო მეტად ორიენტირებული საგნობრივ დისკუსიაზე და ამ პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ინტერესები ყოფილიყო წარმოდგენილი. 2020 წლის არჩევნებისთვის გურიის რეგიონის ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, ხოლო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს – მეტი სივრცე, რათა ამომრჩეველთა კონკრეტული გამოწვევებისათვის ეპასუხათ.

პროექტი „ვითხოვთ პასუხს“

2020 წლის ივლისიდან „გურიის სამოქალაქო ცენტრი“ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით, „ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრის - პროგრესის სახლთან“ და „სტუდენტურ ახალგაზრდულ სათათბიროსთან “ პარტნიორობით ახორციელებს პროექტს „ვითხოვთ პასუხს“ („Waiting for response“) პროექტის მიზანი იყო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში გურიის მხარეში პოლიტიკურ სუბიექტებს შორის საგნობრივი დისკუსიის წახალისება და ინტერესთა ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული წინასაარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მხარდაჭერა. პროექტის მიზნებისათვის განისაზღვრა სამი მოწყვლადი ჯგუფი: ეკომიგრანტები, ახალგაზრდები, ურბანული მოსახლეობა.

პროექტის ფარგლებში:

- ჩატარდა ფოკუსჯგუფები პროექტის სამივე სამიზნე ჯგუფთან (ეკომიგრანტები, ახალგაზრდები, ურბანული მოსახლეობა);
- სამივე ჯგუფისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო მომზადდა და გაიმართა პრეზენტაცია არჩევნებში მონაწილე პარტიებთან და კანდიდატებთან;
- გამოვლენილი პრობლემების გარშემო მოეწყო შეხვედრა გურიის რეგიონის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან.

არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისათვის მომზადდა „10 შეკითხვა გურიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს მათი ამომრჩევლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისაგან“.

მიღებული პასუხები დამუშავდა და ინფოგრაფიკების ფორმით, საგაზეთო ჩანართის სახით გავრცელდა სოციალური ქსელისა და ორი ადგილობრივი ბეჭდვითი მედიასაშუალებით. აღნიშნული შეკითხვების გარშემო კანდიდატებს შორის გაიმართა სატელევიზიო დებატები.

მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები – 2020 წელი

2020 წლის ივლისში არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრის – CRRC-საქართველოს მკვლევრებმა პირდაპირი ინტერვიუს გზით გამოკითხეს 30-ამდე რესპონდენტი სამივე მოწყვლადი ჯგუფიდან (ეკომიგრანტები, ახალგაზრდები, ურბანული მოსახლეობა). კითხვარი შედგენილი იყო გურიის სამოქალაქო ცენტრსა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. რესპონდენტები არ იყვნენ შეზღუდული მხოლოდ საპარლამენტო საქმიანობის ფორმატში მოსაგვარებელი საკითხებით, თუმცა შეკითხვები ძირითადად ისე იყო ფორმულირებული, რომ მიღებული მონაცემები საპარლამენტო არჩევნებისათვის რელევანტური ყოფილიყო. შეჯამებულად და ჯგუფების მიხედვით წარმოდგენილია ის გამოწვევები, რომლებსაც პრობლემურად მიიჩნევენ მოწყვლადი ჯგუფები. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით შეიქმნა 8 ბლოკი და თითოეულ ბლოკში პრობლემები სიმწვავის მიხედვით გადანაწილდა.

ეკონომიკა

	არსებული გამოწვევები	ეკომიგრანტები	ახალგაზრდები	ურბანული მოსახლეობა
1	არასაკმარისი სამუშაო ადგილები	✓	✓	✓
2	არსებულ ხარჯებთან შეუსაბამო და არათანაბარი ანაზღაურება რეგიონების მიხედვით	✓	✓	✓
3	წარმოების დაბალი დონე სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი და სამრეწველო მიმართულებებით	✓	✓	✓
4	შიდა და გარე მიგრაციის მაღალი დონე	✓	✓	✓
5	ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე და ნაკლები ადაპტირებულობა მისი პოტენციური ბენეფიციარების უნარებთან	✓	✓	✓
6	არსებული საგანმანათლებლო სისტემა ვერ პასუხობს ეკონომიკის და ბაზრის მოთხოვნებს	✓	✓	✓
7	გურიის რეგიონში ძლიერი ეკონომიკური, საგანმანათლებლო, კულტურული მიზიდულობის ცენტრის არარსებობა	✓		✓
8	უნდობლობა სახელმწიფოს ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების მიმართ	✓		✓
9	ნაკლები ხელშეწყობა ადგილობრივ წარმოებას, იმპორტის ზრდის ფონზე	✓		✓
10	ნაკლები ხელშეწყობა ბიზნესის და წარმოების დაწყების მსურველებს	✓		✓
11	საბანკო კრედიტებზე დამოკიდებულება და ბანკების კაბალური პირობები		✓	✓
12	მოუწესრიგებელი, არასამართლიანი შრომის პირობები, განსაკუთრებით ბანკებსა და სუპერმარკეტებში		✓	✓
13	კომუნალური სერვისების განვითარება, მოსახლეობის გადახდისუუნარობის ზრდის ფონზე	✓		
14	ეკონომიკური მოწყვლადობა, ხელფასის, სოციალური დახმარებისა და სხვა შემოსავლის დაკარგვა ნიშნავს სიღატაკეს	✓		
15	გაზრდილი ფასები აუცილებელ და პირველადი მოხმარების საგნებსა და პროდუქტებზე			✓
16	დასაქმების ხელშემწყობი სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების არარსებობა		✓	

განათლება

	არსებული გამოწვევები	ეკომი-გრანტე-ბი	ახალ-გაზრ-დები	ურბა-ნული მოსახ.
1	უმაღლესი განათლების მქონეთა დასაქმების დაბალი მაჩვე-ნებელი პროფესიულ და საშუალო განათლების მქონეებთან შედარებით	✓	✓	✓
2	სკოლის განათლება არ არის შესაბამისი და საკმარისი უმა-ღლესი განათლებისათვის	✓	✓	✓
3	ხელმიუწვდომელი ხარისხიანი პროფესიული განათლება გურიის სოფლებში მცხოვრებთათვის	✓	✓	✓
4	საბავშვო ბაღებში გადატვირთული ჯგუფები და ბაღების არა-საკმარისი რაოდენობა	✓	✓	✓
5	პროფესიული განათლების ცენტრების ნაკლებობა	✓	✓	
6	ჩაგვრა სკოლაში	✓	✓	
7	საბავშვო ბაღებში მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია		✓	✓
8	საბავშვო ბაღებში განვითარებისათვის არახელსაყრელი გარემო		✓	✓
9	უხარისხო სასწავლო პროგრამები საბავშვო ბაღებში		✓	✓
10	სკოლებში მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია		✓	✓
11	არასაკმარისად პოპულარიზებული პროფესიული განათლება		✓	✓
12	განათლების მიღების პროცესში გენდერული უთანასწორობა	✓		
13	რეგიონებიდან ჩასული სტუდენტებისათვის ნაკლები სახელმწიფო მხარდაჭერა საბინაო და კომუნალურ საკითხებში	✓		
14	ბავშვიან ქალებს არ აქვთ ხელშეწყობა განათლების მიღებასა და მუშაობაში	✓		
15	საბავშვო ბაღებში ბავშვთა უსაფრთხოება ნაკლებად არის დაცუ-ლი		✓	
16	სკოლაში ტრანსპორტირება მოუწესრიგებელი და პრობლემურია		✓	
17	სკოლის გათბობისა და მცირე ინფრასტრუქტურული პრობლემები		✓	
18	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლისათვის არასაკმარი-სი ინფრასტრუქტურა		✓	
19	სასკოლო საფეხურის მოსწავლეებისათვის ნაკლები ინფორმაცია უმაღლესი განათლების საფეხურის შესახებ		✓	
20	სკოლაში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია		✓	
21	პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამე-ბის არარსებობა		✓	
22	სტაჟირების გამართული სისტემის არარსებობა		✓	
23	არაპრესტიჟული და უხარისხო პროფესიული განათლების სისტე-მა და პროგრამები		✓	
24	მოუწესრიგებელი ონლაინსწავლების ინფრასტრუქტურა როგორც სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში		✓	
25	ნაკლებად არის მხარდაჭერილი არაფორმალური საგანმანათლებ-ლო აქტივობები		✓	
26	საბავშვო ბაღში ინკლუზიურ ბავშვებთან მუშაობის ნაკლები გამოცდილება		✓	
27	არაოპტიმიზებული სკოლები, ძალიან მცირე კონტინგენტი ან გა-დატვირთული კლასები		✓	
28	მასწავლებელთა საშუალო ასაკი 50 წელზე მაღალია		✓	

სოციალური პრობლემები

	არსებული გამოწვევები	ეკომი-გრანტე-ბი	ახალ-გაზრ-დები	ურბა-ნული მოსახ.
1	უთანასწორობა და უსამართლობა სოციალური დახმარების განაწ-ილების დროს, სარეიტინგო ქულების დათვლის მეთოდოლოგია	✓	✓	✓
2	შშმ პირებისათვის, მოხუცებისთვის გარემო არ არის ადაპტირებული	✓	✓	✓
3	არ არსებობს ოჯახის გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამები, შესაბამისად, სოციალური თუ სხვა ტიპის პრობლემების გამო ოჯახ-ების დიდი ნაწილი ინგრევა	✓		✓
4	სოციალური აგენტების დაბალი კვალიფიკაცია	✓		✓
5	სოციალური დახმარებების საჭიროება, რისი საშუალებაც მუნიცი-პალიტეტის ბიუჯეტს არ აქვს	✓		
6	არსებულ საჭიროებებთან შეუსაბამო პენსია და სოციალური დახ-მარება	✓		
7	მოუწესრიგებელი სამუშაო პირობები (გრაფიკი, გარემო და სხვა)		✓	

სოფლის მეურნეობა

	არსებული გამოწვევები	ეკომი-გრანტე-ბი	ახალ-გაზრ-დები	ურბა-ნული მოსახ.
1	სარწყავი წყალი არ არის და შრომას აზრი ეკარგება, უწყლობით ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქცია არ იქმნება	✓	✓	✓
2	აღურიცხავი, დაუმუშავებელი და შემოუღობავი მიწები სოფლად	✓	✓	
3	სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე დაბალი ხელმისაწვდომობა (ეკომი-გრანტები)	✓		
4	რძის, ხილის, ჩაისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩამ-ბარებელი და გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობა (ეკომი-გრანტები)	✓		

ინფრასტრუქტურა

	არსებული გამოწვევები	ეკომი-გრანტე-ბი	ახალ-გაზრ-დები	ურბა-ნული მოსახ.
1	მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა	✓	✓	
2	მოუწესრიგებელი გარე განათების სისტემები ან/და გარე განათების არარსებობა	✓	✓	
3	განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების დაბალი ხარისხი	✓	✓	
4	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგო-მარეობა (მოსაცდელები, ა/ს საშუალებები)	✓	✓	
5	მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა		✓	✓
6	ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისა და შესაბამისი იერის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა		✓	
7	შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული (ურეკი)		✓	
8	მოუწესრიგებელი სანიაღვრე სისტემა		✓	
9	სპორტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა (სტადიონი, სავარჯიშო დარბაზი, ბოულინგი, საცურაო აუზი და ა.შ.)		✓	
10	კულტურულ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის არარსებობა (კინოთეატრი, ბიბლიოთეკა, კლუბები, და სხვ.) (ახალგაზრდები)		✓	
11	საბავშვო-გასართობი ინფრასტრუქტურის არასაკმარისი რაოდენობა ან/და არარსებობა		✓	

ჯანდაცვა

	არსებული გამოწვევები	ეკომი-გრანტე-ბი	ახალ-გაზრ-დები	ურბა-ნული მოსახ.
1	სამედიცინო დაწესებულებებში მომსახურების მაღალი ტარიფები და ექიმების დაბალი კვალიფიკაცია	✓	✓	✓
2	წამლების მაღალი ფასი და მისი შეუსაბამობა პენსიას, ხელფასსა და სხვა შემოსავლებთან	✓	✓	✓
3	გურიის რეგიონში კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღების შეუძლებლობა	✓	✓	✓
4	კლინიკების, მცირე რაოდენობა, დიდი რიგები და გადატვირთული პალატები	✓	✓	✓
5	ოპერაციების დაუსრულებელი მოლოდინი, ოპერატიულობის ნაკლებობა	✓		✓
6	სასწრაფო დახმარების სერვისის დაბალი ოპერატიულობა და დაბალი კვალიფიკაცია		✓	

გარემოს დაცვა/რეკრეაცია

	არსებული გამოწვევები	ეკომი-გრანტე-ბი	ახალ-გაზრ-დები	ურბა-ნული მოსახ.
1	არასაკმარისი სარეკრეაციო სივრცეები (პარკები, სკვერები)	✓	✓	✓
2	შედარებით ნაკლებად დასუფთავებული გარემო და ნარჩენების გატანის და განთავსების პრობლემები		✓	
3	ცხოვრების ჯანსაღი წესი ნაკლებად არის პოპულარიზებული და მხარდაჭერილი			✓

საჯარო მმართველობა

	არსებული გამოწვევები	ეკომი-გრანტე-ბი	ახალ-გაზრ-დები	ურბა-ნული მოსახ.
1	საჯაროობის, ინფორმაციის გავრცელებისა და მოსახლეობასთან კომუნიკაციის პრობლემა	✓		
2	კორუფცია და მიკერძოება	✓		
3	პოლიციის მხრიდან თვალთვალი სოფლის თავშეყრის ადგილებზე		✓	
4	სოფელში ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ პრობლემის ოპერატიულად გადაწყვეტის არც მექანიზმი, არც კომპეტენცია	✓		

ათი კითხვა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს და მათი პასუხები

გურიის რეგიონში მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შემუშავდა 10 შეკითხვა გურიის რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისათვის. შეკითხვებზე პასუხი შვიდმა კანდიდატმა გასცა:

- ხათუნა გოგორიშვილი - „ევროპული საქართველო“
- მანუჩარ კვირკველია - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია“
- შოთა გოგიბერიძე - „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
- ნინო შეწირული-გობრონიძე - „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“
- ოთარ ქერქაძე - „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“
- ვახტანგ ზენაიშვილი - „გირჩი“
- გიორგი სიორიძე - „ლელო საქართველოსთვის“

10 შეკითხვის საპასუხოდ, პარტიების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა საზოგადოებას საკუთარი ხედვა შესთავაზეს.

ოზურგეთი ვერ ასრულებს რეგიონული მიზიდულობის (დასაქმება, განათლება, სამედიცინო მომსახურება, სავაჭრო, გასართობი და სხვ.) ცენტრის როლს, ამის გამო მაღალია გურიიდან მუდმივი და დროებითი სამუშაო მიგრაცია. რეგიონს ტოვებს ახალგაზრდობა. როგორია თქვენი ხედვა გურიიდან მიგრაციის შესაჩერებლად?

კანდიდატები გამოსავალს და ამ კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტას შემდეგნაირად ხედავენ:

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- ნეპოტიზმის შემცირება;
- მეტი საჯაროობა და მონაწილეობა;
- კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული სივრცეების განვითარება;
- ეკონომიკური ჩამორჩენის შემცირება იმ ქვეყნებსა და რეგიონებთან, რომლებშიც მაღალია მიგრაცია გურიის რეგიონიდან;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის ფილიალის აღდგენა და საგანმანათლებლო კერების შექმნა;
- სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია;
- მოდერნიზებული სოფლის მეურნეობა და გლეხის ფერმერად გარდაქმნა;
- ტურიზმისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (სტევია, მოცვი) და ჩაის კულტურის აღდგენა, სოფლის მეურნეობაში კვლევითი და საგანმანათლებლო მიმართულების გაძლიერება.

გურიის რეგიონის სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილია და ვერ ასრულებს მნიშვნელოვან როლს რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების საქმეში. მოსახლეობა აღნიშნავს, რომ მათთვის ხელმისაწვდომი არ არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, კვალიფიციური აგრო—, ფიტო— და ვეტერინარული საკონსულტაციო მომსახურება, არ მუშავდება მიწები, ხოლო წარმოებულ ნედლეულს დაბალი სარეალიზაციო ფასი აქვს. არ არის განვითარებული ნედლეულის გადამამუშავებელი წარმოება. რა ფორმით შეუწყობდით ხელს გურიაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, შენახვისა და გადამუშავების ღირებულებათა ჯაჭვის შექმნას?

კანდიდატები ამ პრობლემის მოგვარებას შემდეგნაირად ხედავენ:

- ე.წ. Startup–დაფინანსება;
- გადამამუშავებელი საწარმოების განვითარება;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მუნიციპალური საწარმოების შექმნა;
- სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზება მნიშვნელოვანი ანტიკორუფციული გარანტიების შექმნის ფონზე;
- ინვესტირება სასოფლო-სამეურნეო განათლებაში;
- მულტიფუნქციური „სოფლის სახლები“;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში;

- სოფლის მეურნეობის სრული მოდერნიზაცია;
- სასოფლო-სამეურნეო მიწების სრული კადასტრი სახელმწიფოს ხარჯზე;
- ქართული პროდუქციისათვის ევროპული ბაზრის გახსნა და ათვისება;
- მელიორაციის და ირიგაციის სისტემების გამართვა;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხელშემწყობი მუნიციპალური ცენტრები;
- აგრონომი და ვეტექიმი ყველა სოფელს;
- ადგილობრივი წარმოების ზრდა და იმპორტის შემცირება;
- ეკოწარმოების განვითარება;
- სამაცივრე მეურნეობების განვითარება და ფერმერების ხელშეწყობა პროდუქციის რეალიზებაში;
- სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია და შემდეგ მესაკუთრეები გადაწყვეტენ პრივატიზებული ქონების გამოყენების საკითხს, რასაც ბაზარი დაარეგულირებს;
- გადამზადებული ქართველი სპეციალისტები;
- სპეციალური საგარანტიო ფონდი და ადვილი წვდომა ფინანსებთან;
- სპეციალური ხარისხის ნიშანი, აგრო– და ბიოწარმოება, წვდომა ევროპის ბაზართან.

მოსახლეობა ხშირად მიუთითებს, რომ რეგიონში სამედიცინო სერვისი ხელმისაწვდომი და ხარისხიანი არ არის. მოქალაქეები მიუთითებენ, რომ კვალიფიციური სამედიცინო სერვისის მისაღებად უწევთ დიდ ქალაქებს მიაშურონ. რა პოლიტიკას გაატარებდით, რომ მხარის მოსახლეობას ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან სამედიცინო სერვისზე?

კანდიდატები შემდეგ დაპირებებს აძლევენ გურიის რეგიონის მოსახლეობას:

- მუნიციპალური საავადმყოფოების შექმნა;
- წამლებისა და სამედიცინო მომსახურების სფეროზე სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება;
- ძლიერი პირველადი ჯანდაცვის და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემის ჩამოყალიბება;
- ექიმების გადამზადება და მათი ანაზღაურების გაზრდა;
- წამლების ფასების განახევრება;
- ძლიერი რეგიონალური კლინიკების შექმნა;
- სახელმწიფო სადაზღვევო სისტემის შემოღება;
- საშემოსავლო გადასახადის გაუქმება ექიმებისათვის;
- ტელემედიცინის განვითარება;
- სოფლის ექიმის ინსტიტუტის გაძლიერება;
- მოქალაქეების ეკონომიკურად გაძლიერება, რის შემდეგაც კერძო სადაზღვევო მომსახურების სისტემას შეუერთდებიან.

სკოლამდელი განათლების სერვისი მოსახლეობისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. მუნიციპალიტეტები სხვადასხვა მიზეზით ვერ ახერხებენ კანონითა და შესაბამისი სტანდარტებით დადგენილი და ყველასთვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების სერვისის მიწოდებას. როგორია თქვენი ხედვა ამ მიმართულებით?

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ამ პრობლემის მოგვარების შემდეგნაირ გზებს გვთავაზობენ:

- მაღალკვალიფიციური კადრები კარგი ანაზღაურებით;
- ხარისხიანი კვება და კვების გაძლიერებული მონიტორინგი;
- კარგი ინფრასტრუქტურა და დაკმაყოფილებული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები;
- აღსაზრდელთა უსაფრთხო ტრანსპორტირება;
- საბავშვო ბაღებში ვაუჩერული დაფინანსების პრინციპის შემოღება;
- თანაბარი სამუშაო პირობები და კარგი ანაზღაურება, დედაქალაქსა და რეგიონებს შორის დისბალანსის აღმოფხვრა;
- გაუმჯობესებული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები;
- მეტი თავისუფლება ადამიანებს განათლების სფეროში, დავეხმაროთ რესურსებით და თვითონ გადაწყვიტონ ვის ანდობენ საკუთარი შვილის განათლებას – სახელმწიფოს თუ კერძო სექტორს;
- ფსიქოლოგი ბაღებს;

- განვითარებული ბაგა-ბაღის სერვისი ადამიანებს დასაქმების მეტ შესაძლებლობებს მისცემს, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საწინდარია.

გურიის რეგიონის ურბანული მოსახლეობისათვის (ქალაქები და დაბები) წყალარინების (კანალიზაციის) სისტემების არარსებობა ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. პრობლემებია ასევე უწყვეტი და ხარისხიანი წყალმომარაგების მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფუნქციებზე პასუხისმგებლობა მუნიციპალიტეტს ეკისრება, ფაქტობრივად, ამ დასახლებებში წყალმომარაგებასა და წყალარინებაზე პასუხისმგებელი ამჟამად ცენტრალური ხელისუფლებაა. როგორია თქვენი ხედვა აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად?

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების ხედვა შემდეგნაირია:

- საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემების მოწყობას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ გაწვდება, ის ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა მოაწყოს, ადგილობრივმა კი მოუაროს და მართოს;
- მეტი ფინანსები მუნიციპალიტეტებს და ისინი თვითონ მიხედავენ ამ სისტემებს;
- ფინანსურად დამოუკიდებელი მუნიციპალიტეტი არის კანალიზაციის, წყალმომარაგების და ყველა სხვა პრობლემების მოგვარების ინსტრუმენტი.

მოსახლეობის აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სოფლებში, დაბებსა და ქალაქებში გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე პირების და ინსტიტუტების არარსებობაა. როგორია თქვენი ხედვა დეცენტრალიზაციის საკითხებზე? რა მიმართულებით უნდა გაძლიერდეს ადგილობრივ თვითმმართველობა, რათა ის იყოს მეტად ანგარიშვალდებული ადგილობრივ მოსახლეობასთან და უკეთ პასუხობდეს ადგილობრივ საჭიროებებს, მათ შორის, ეკონომიკური განვითარების, სოციალური, სატრანსპორტო პოლიტიკის და სხვა მიმართულებებით?

მაჟორიტარი დეპუტატების ხედვები შემდეგია:

- ფინანსურად დამოუკიდებელი და ძლიერი მუნიციპალიტეტი, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება დამოუკიდებლად; გადასახადების ნაწილი დარჩება ადგილზე;
- საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე მეტი პარტნიორების არსებობა სოფლებსა და დაბებში;
- ყოველ 2000 ადამიანზე მმართველობის სტრუქტურის არსებობა, ხოლო სოფლის მეურნეობის რაიონებში აგრონომის და ზოოვეტერინარის დამატება;
- ყოველი სოფელი თვითონ უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღები;
- რეგიონების ადმინისტრაციული და ფინანსური დამოუკიდებლობა;
- დაურეგისტრირებელი მიწები და ბუნებრივი რესურსების ნაწილი თვითმმართველობებს უნდა დარჩეს;
- კერძო მესაკუთრეების და არა სახელმწიფოს მიერ შექმნილი თვითმმართველობები;
- ყველა დიდ სოფელში, საქალაქო მუნიციპალურ სერვისებთან მაქსიმალურად მიახლოებული სერვისები;
- ყველა სოფლის ინტერნეტიზაცია.

გურიის რეგიონის მოსახლეობის აზრით, ეკონომიკის განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამები ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული არ არის, მათ შორის, ხელს არ/ვერ უწყობს ბიზნესის დაწყებას. თქვენი აზრით, როგორ უნდა შეუწყოს ხელი ცენტრალურმა/ადგილობრივმა ხელისუფლებამ დამწყებ, მცირე და საშუალო ბიზნესს?

- მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების აზრით:
- მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის და ტურიზმის მიმართულებებით;
- ფინანსური რესურსების სამართლიანი გადანაწილება;
- მსგავსი ტიპის მხარდაჭერის პროექტების მართვა მუნიციპალური ცენტრების საშუალებით, ნაცვლად სამინისტროებისა;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების მხარდაჭერა;
- ბიუროკრატიისა და კორუფციის რისკების შემცირება, პროექტების განხორციელებაზე ქმედითი მონიტორინგის სისტემების შემოღება;

- სახელმწიფოს ჩაურევლობა ეკონომიკაში, გადასახადების შემცირება და მცირე მთავრობა;
- ბიო– და ეკოწარმოების, ხარისხიანი სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად 2–მილიარდიანი მხარდაჭერის ფონდი, კერძო-საჯარო პარტნიორობის მოდელით.

გურია საქართველოს რეგიონებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი რეგიონია. როგორია თქვენი ხედვა რეგიონში ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით, თქვენი აზრით, ეკონომიკის რომელი დარგები უნდა განვითარდეს და რა უნდა იყოს გურიის რეგიონის ეკონომიკური პროფილი ქვეყნის ეკონომიკაში?

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ამ საკითხზე ამბობენ:

- ტურიზმი და სოფლის მეურნეობა;
- მერიის აეროპორტის ამუშავება;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;
- რეგიონში ბიზნესგარემოს კარგი ანალიზი და განვითარების ახალი გეგმები;
- ჩაის კულტურის აღდგენა;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და წარმოების საკონსულტაციო ტექნიკური მხარდაჭერა სახელმწიფოსგან;
- სახელმწიფოს ნაკლები ჩარევა და რეგიონი თავისით გამოკვეთს საკუთარ ეკონომიკურ პროფილს;
- სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაზრდა სოფლის მეურნეობაში და ხარისხიანი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა.

როგორ უზრუნველყოფდით გურიის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ხარისხიან პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას? რა ინიციატივებს შესთავაზებდით ახალგაზრდებს პროფესიული ორიენტაციის პროგრამების განვითარების მიმართულებით?

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ახალგაზრდებს შემდეგ ხედვას სთავაზობენ:

- ეკონომიკურ დარგებსა და ბაზრის მოთხოვნაზე მორგებული პროფესიული განათლების სისტემები;
- სამთვიანი, ექვსთვიანი და ცხრათვიანი კვალიფიკაციის ამაღლებისა და აღიარების საერთაშორისო სტანდარტების პროფესიული განათლების სისტემების დანერგვა;
- სოფლების ინტერენეტიზაცია და IT–სკოლები;
- ბიზნესის ნაკარნახევ საჭიროებებზე მორგებული პროფესიული განათლება;
- პროფესიული განათლების პოპულარიზაცია ახალგაზრდებში, მისი მორგება რეგიონის საჭიროებებზე და ახალი ცენტრების მშენებლობა.

დღეს ადამიანებს გურიის რეგიონში მუშაობა და ცხოვრება ისეთ პირობებში უწევთ, რომ ხელფასის ან შემოსავლის სხვა წყაროს დაკარგვა სიღატაკეში ცხოვრებას ნიშნავს, ხელფასი და სხვა სოციალური დახმარება საარსებო მინიმუმის ქვემოთაა, სოციალური დახმარების სისტემა არასამართლიანად ანაწილებს დახმარებებს. როგორია თქვენი ხედვა სოციალური პოლიტიკისა და მისი განხორციელების ადმინისტრირების მიმართულებით?

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ამ საკითხზე შემდეგ მოსაზრებებს გამოხატავდნენ:

- არსებული სოციალური დახმარების სისტემის იმგვარად შეცვლა, რომ სოციალურად დაუცველს შრომის მოტივაცია ჰქონდეს;
- მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემა და დახმარების შენარჩუნება დასაქმებიდან ერთი წლის განმავლობაში;
- პირველ ეტაპზე სიღატაკის და შიმშილის დამარცხება, ხოლო შემდეგ ყველა დანარჩენი;
- უფასო კვების რაციონი სკოლებში;
- საარსებო მინიმუმის გაზრდა;
- უმუშევრობის დახმარების შემოღება;
- სისტემის დეცენტრალიზაცია უფრო მიზნობრივს გახდის სოციალური დახმარების სისტემას;
- სოციალური რეესტრის შექმნა და სოციალური დაზღვევის სისტემის შემოღება

პოლიტიკური დებატები 2020 - მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს შორის

დებატები გურიის რეგიონში წარდგენილ მაჟორიტარობის კანდიდატებს შორის გაიმართა 15 ოქტომბერს. დებატებში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლებმა:

- ხათუნა გოგორიშვილი, „ევროპული საქართველო“
- ვახტანგ ზენაიშვილი, „გირჩი“
- ნინო შეწირული, „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“
- დავით მამალაძე, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“
- ოთარ ქერქაძე, „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“
- გიორგი სიორიძე, „ლელო საქართველოსთვის“
- გოჩა ძიმისტარიშვილი, საინიციატივო ჯგუფი

დებატები წარიმართა წინასწარ განსაზღვრული და მონაწილეებთან შეთანხმებული ფორმატის მიხედვით და გადაიცა ადგილობრივი სატელევიზიო არხის – GURIA TV-ს მეშვეობით. კანდიდატებმა იმსჯელეს პროექტის ფარგლებში შერჩეულ სამიზნე ჯგუფებისთვის პრიორიტეტულ 10 საკითხზე. განსაკუთრებული დრო დაეთმო მსჯელობას რეგიონის ეკონომიკური განვითარების, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის, დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის რეფორმის მიმართულებით კანდიდატების ხედვებისა და მათ სამომავალო საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ.

დებატების ყველა მონაწილე თანხმდებოდა დენცეტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის აუცილებლობაზე. გიორგი სიორიძემ („ლელო საქართველოსთვის“) განაცხადა, რომ მათი პარტიის პროგრამა ითვალისწინებს დამატებითი გადასახადების დატოვებას ადგილობრივი თვითმმართველობისათვის. ხათუნა გოგორიშვილმა („ევროპული საქართველო“) აღნიშნა, რომ ურბანული დასახლებების კანალიზაციის საკითხი შესაძლოა მოგვარდეს ცენტრალიზებულად, ცენტრალურ ბიუჯეტში შესაბამისი თანხის ასახვით და მოსახლეობა არ ელოდოს დეცენტრალიზაციის პროცესის გრძელვადიან შედეგებს.

დებატებზე მონაწილეების პოზიციები გურიის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებოდა. ყველა მონაწილე საუბრობდა ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის დარგებზე. გიორგი სიორიძემ („ლელო საქართველოსთვის“) ყურადღება გაამახვილა ჩაის პლანტაციების აღდგენაზე, ნინო შეწირულმა („ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“) ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანაზე, ხათუნა გოგორიშვილმა („ევროპული საქართველო“) გადასახადების დაწევასა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, ვახტანგ ზენაიშვილი („გირჩი“) დასმულ პრობლემებზე გამოსავლად სახავდა დერეგულაციას, მეტ პრივატიზაციას და ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შემცირებას.

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების აგიტაცია 2020 - როგორ პასუხობენ კანდიდატები საზოგადოების საჭიროებებს

პროექტის გუნდმა განახორციელა კანდიდატების საარჩევნო კამპანიის მონიტორინგი იმ მიზნით, რათა შეემოწმებინა, აყენებდნენ თუ არა კანდიდატები წინასაარჩევნო კამპანიისას მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის პრიორიტეტულ საკითხებს. მონიტორინგის მიზნით პროექტის გუნდის წევრები ესწრებოდნენ კანდიდატების იმ წინასაარჩევნო შეხვედრებს, რომლებზე დასწრების საკითხზეც მიიღეს თანხმობა ამავე კანდიდატთა შტაბებისაგან, ასევე მონიტორინგს უწევდნენ კანდიდატების მიერ გამოყენებულ საინფორმაციო არხებს ადგილობრივ ბეჭდურ პრესასა და სოციალურ ქსელში.

მონიტორინგი გაეწიათ შემდეგ კანდიდატებს:

- ვასილ ჩიგოგიძე, „ქართული ოცნება“ – 16 შეხვედრა;
- მანუჩარ კვირკელია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია“ – 15 შეხვედრა;
- ოთარ ქერქაძე, „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ – 12 შეხვედრა;
- გიორგი სიორიძე, „ლელო საქართველოსთვის“ – 33 შეხვედრა;
- ვახტანგ ზენაიშვილი, „გირჩი“ – 2 შეხვედრა;
- ხათუნა გოგორიშვილი, „ევროპული საქართველო“ – 5 შეხვედრა;
- ნინო შეწირული, „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“ – 3 შეხვედრა.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ერთი ძირითადი ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ის კანდიდატები, რომლებიც თანამშრომლობდნენ პროექტთან, „10 შეკითხვაზე“ პასუხის გაცემის ან დებატებში მონაწილეობის ფორმით საარჩევნო კამპანიების დროს საუბრობდნენ პროექტის მიერ დასმულ მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებზე და ამომრჩევლებთან შეხვედრების დროს მათი გადაჭრის გეგმებზე ესაუბრებოდნენ.

მაგ.: „ლელო საქართველოსთვის“ კანდიდატის საარჩევნო შეხვედრებში გაჩნდა პროფესიული განათლების თემა, კანდიდატი მოსახლეობას ესაუბრებოდა სკოლის შემდგომი პროფესიული განათლების სისტემის შესახებ საკუთარი პარტიის ხედვებსა და სამოქმედო გეგმებზე (22-23 ოქტომბერი, შეხვედრები ქ. ლანჩხუთსა და დ. ჩოხატაურში)

„ევროპული საქართველოს“ კანდიდატი ხათუნა გოგორიშვილი ურბანულ მოსახლეობასთან შეხვედრების დროს საუბრობდა კანალიზაციის სისტემის მოწესრიგებაზე (16 ოქტომბერი, ქ. ლანჩხუთი).

სხვა კანდიდატები საარჩევნო კამპანიების დროს აგრეთვე საუბრობდნენ პროექტის ფარგლებში იდენტიფიცირებული 10 პრიორიტეტული საკითხიდან ერთზე მაინც. ამასთან, კანდიდატები აქტიურად იყენებდნენ ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ინფოგრაფიკებს საკუთარ ამომრჩევლებთან საკომუნიკაციოდ და ამ ფორმით ცდილობდნენ მათთვის თავისი ხედვების გაცნობას. „ლელო საქართველოსთვის“ და „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეების“ კანდიდატები ხშირად აზიარებდნენ პროექტის ფარგლებში მომზადებულ ინფოგრაფიკებს, ჩატარებული დებატების ვიდეოჩანაწერებსა და მის ნაწილებს, რათა ამომრჩევლისათვის ხაზგასმულად მიეწოდებინათ ინფორმაცია მათთვის პრიორიტეტული საკითხის შესახებ (ვახტანგ ზენაიშვილი (დეცენტრალიზაცია), ოთარ ქერქაძე (რეგიონის ეკონომიკური როლი), ნინო შეწირული (სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა)).

ორი საარჩევნო სუბიექტის კანდიდატებს – ვასილ ჩიგოგიძეს („ქართული ოცნება“) და მანუჩარ კვირკელიას („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ არცერთ შეხვედრაზე არ დაუსვამთ პროექტის ფარგლებში იდენტიფიცირებული 10 პრიორიტეტული საკითხიდან არცერთი. კანდიდატ ვასილ ჩიგოგიძის შეხვედრებზე საუბარი, უმთავრესად, შეეხებოდა მთავრობის მიერ უკვე განხორციელებულ და მომავალში დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ხოლო კანდიდატ მანუჩარ კვირკელიას შეხვედრებზე ძირითადად საუბრობდნენ ზოგადად სიღარიბისა და სოციალური პრობლემების დაძლევასა და ხელისუფლების ცვლილების აუცილებლობაზე.

ძირითადი მიგნებები და დასკვნები

- ამომრჩევლები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას საარჩევნო პროგრამებს და ხედვებს, მათ გადაწყვეტილების მიღების ძირითად ფაქტორად არ განიხილავენ;
- მმართველი პარტია ნაკლებად ანგარიშვალდებულად გრძნობს თავს და დარწმუნებულია, რომ მის გამარჯვებას ადმინისტრაციული რესურსი და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების გაკეთებული პროექტებით მოსახლეობის კმაყოფილება უზრუნველყოფს;
- პარტიული პოლიტიკა არის ცენტრალიზებული, საარჩევნო პროგრამები იქმნება ეროვნულ დონეზე, თბილისში და ხშირად არ ასახავს რეგიონების საჭიროებებს.

პროექტმა „ვითხოვთ პასუხს“:

- წაახალისა პოლიტიკური პარტიები და მათი კანდიდატები, რომ თავიანთი პარტიების ცენტრალურ ოფისებში დაწერილი პროგრამებისა და დევიზების მიღმა ეფიქრათ იმ რეგიონისა და რეგიონში მცხოვრები ადამიანების პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომელთა საქართველოს პარლამენტში წარმომადგენლობასაც აპირებენ მომდევნო 4 წლის განმავლობაში;
- ცენტრს მიღმა, პოლიტიკურ პერიფერიაში, პოლიტიკური დებატებისთვის შექმნა სივრცე, რომელმაც უზრუნველყო კანდიდატების მიერ შექმნილი პროგრამული ხედვების ამომრჩევლამდე მისვლას ადგილობრივი სატელევიზიო არხის, ადგილობრივ ბეჭდვითი მედიისა და სოციალური მედიის საშუალებით.
- მიუხედავად ამისა, კვლავ პრობლემაა არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პოლიტიკური ძალის დაუინტერესებლობა მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების მიმართ, მხოლოდ ეროვნული დონის მნიშვნელობის საკითხებზე აპელირება და კამპანიების ცენტრალიზება.
- პრობლემაა ისიც, რომ სხვა პარტიების შედეგები, მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობენ სამოქალაქო საზოგადოებასთან და მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებს ითვალისწინებენ, შედარებით დაბალია, რაც მათ ფრუსტრაციას იწვევს და უბიძგებს დიდი პარტიების მსგავსად ეროვნული საკითხების გარშემო, ცენტრალიზებულად, კონფრონტაციულად წარმართონ შემდგომი კამპანიები.